შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ ოჯახებზე არსებული გარკვეული ინფორმაციის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მიწოდების შესახებ“ 2017 წლის 18 იანვრის მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 27 დეკემბერი 2017 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული **სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში-სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **კობა სონღულაშვილის** სახით,

მეორე მხრივ, **რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში-მერია), წარმოდგენილი რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, **გოჩა ლორიას** სახით, შემდგომში, მხარეებად წოდებულნი,

რუსთავის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ ოჯახებზე არსებული გარკვეული ინფორმაციის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მიწოდების შესახებ“ 2017 წლის 18 იანვარს გაფორმებული მემორანდუმის (შემდგომში-მემორანდუმი) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, გოჩა ლორიას 2017 წლის 14 დეკემბრის N02/17795 წერილის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანია მხარეთა შორის 2017 წლის 18 იანვარს დადებული მემორანდუმის (შემდგომში-მემორანდუმი) მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, მასში ცვლილებების შეტანა.

2. მემორანდუმში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) მემორანდუმის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ და ,,გ“ ქვეპუნქტების, ,,სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის ,,გ“ და ,,ზ“ ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებით დამტკიცებული ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-7 მუხლის და მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,სააგენტოს“ დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ბ“ და ,,ე.გ“ ქვეპუნქტების, ,,ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 დეკემბრის N55 განკარგულებისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის (გ. ლორია) 2017 წლის 14 დეკემბრის N02/17796 გათვალისწინებით, ვთანხმდებით შემდეგზე:“

ბ) მემორანდუმის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით“.

3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

4. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

5. მემორანდუმის ის მუხლები/პუნქტები, რომლებსაც ცვლილება არ შეხებია, რჩება უცვლელი.

6. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ.N144
საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

კობა სონღულაშვილი
სააგენტოს დირექტორის მოადგილე

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია
ქ. რუსთავი, კოსტავას ქ.20
საიდენტიფიკაციო კოდი: 226133287

გოჩა ლორია
რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე